

შპს „კონფიდენს გრუპი“

სპეციალური დანიშნულების

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულისაკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	5
1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	10
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
7. საპროცენტო ხარჯი.....	11
8. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან.....	11
9. ძირითადი საშუალებები	12
10. გუდვილი.....	13
11. ფული და ფულის ექვივალენტები	13
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
13. გაცემული სესხები	13
14. საგადასახადო აქტივი	13
15. მარაგები.....	14
16. გრძელვადიანი სესხები.....	14
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14

შპს „კონფიდენს გრუპი“


სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის
ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5	2,126,417
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები		(147,713)
საერთო მოგება		1,978,704
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(26,595)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,937,741)
საოპერაციო ზარალი		(985,632)
საპროცენტო შემოსავალი		132,370
საპროცენტო ხარჯი	7	(3,401,301)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	8	(2,223,374)
მიმდინარე წლის სრული ზარალი		(6,477,937)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27
სექტემბერს:


ოზგურ დურდაბაქ
დირექტორი



შპს „კონფიდენს გრუპი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5	2,126,417
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები		(147,713)
საერთო მოგება		1,978,704
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(26,595)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,937,741)
საოპერაციო ზარალი		(985,632)
საპროცენტო შემოსავალი		132,370
საპროცენტო ხარჯი	7	(3,401,301)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	8	(2,223,374)
მიმდინარე წლის სრული ზარალი		(6,477,937)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს:

ოზგურ დურდაბაქ
დირექტორი

შპს „კონფიდენს გრუპი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31-დეკ-2018	01-იან-2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	37,152,980	34,134,855
გუდვილი	10	1,468,581	1,631,757
არამატერიალური აქტივები		10,470	10,741
სულ გრძელვადიანი აქტივები		38,632,031	35,777,353
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1,288,289	590,392
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,241,165	970,535
გაცემული სესხები	13	1,571,378	1,454,349
სხვა მიმდინარე აქტივები		1,815	3,986
საგადასახადო აქტივი	14	345,065	125,762
მარაგები	15	307,491	229,654
სულ მიმდინარე აქტივები		4,755,203	3,374,678
სულ აქტივები		43,387,234	39,152,031
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
დაგროვილი ზარალი		(35,641,814)	(42,700,244)
სულ კაპიტალი		(35,641,614)	(42,700,044)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	76,287,442	78,999,229
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		76,287,442	78,999,229
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,741,406	2,852,846
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,741,406	2,852,846
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		43,387,234	39,152,031

შპს „კონფიდენს გრუპი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	ჯამი
ბალანსი 1 იანვარი 2018	200	(42,700,244)	(42,700,044)
კაპიტალის ზრდა	13,536,367		13,536,367
მიმდინარე წლის სრული ზარალი		(6,477,937)	(6,477,937)
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	13,536,567	(49,178,181)	(35,641,614)

შპს „კონფიდენს გრუპი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

კონფიდენს გრუპი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2009 წლის 29 მაისს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205279884.

ძირითადი საქმიანობა: შპს „კონფიდენს გრუპი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო, სარემონტო, სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება და სპეციალური მომსახურება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, 300 არაგველის ქ., №24.

დედა კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილებს ფლობდა შემდეგი სამი კომპანია: 1) შპს "ელიტ პრო"(404554059) - 50%. 2) ფელიქს გრუპ დი-ემ-სი-სი დუბაი არაბთა გაერთიანებული საემიროები, DMCC123002, - 25%. 3) სკორპიო ინვესტმენტს ელ-თიდი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, , IBC/04/15/10643, - 25%.

ჯგუფის სტრუქტურა: შპს კონფიდენს ჯგუფი (შემდგომში ჯგუფი შვილობილებთან ერთად) თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილს:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	წილი/ხმის უფლება (%)
		2018
შპს ნავთობბაზა	უძრავი ქონების მართვა	100%
შპს თეატრები აპოლო	კინოთეატრების ორგანიზება და ექსპლოატაცია	80%

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის, რომ ჯგუფმა შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესაბამისი ინფორმაციის გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისთვის, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე ჯგუფს არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით; 2018 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სასაქონლო ნიშანსა და ISO სერტიფიკატს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ბიოლოგიური აქტივები. მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მარაგები გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველად აღიარდება როგორც სასაქონლო მატერიალური მარაგი და ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. საწყისი აღიარებისას მიღებული მოგება აისახება ერთიანად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვაობა ფაქტიურ სარეალიზაციო ფასსა და საწყისი აღირების ღირებულებას შორის, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალიზაციისას როგორც, მოგება/(ზარალი) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რეალური ღირებულების ცვლილებიდან.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფი დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავლები მომსახურების გაწევიდან

	2018
შემოსავლები სპადაზნ	1,180,975
შემოსავლები იჯარიდან	945,442
ჯამი	2,126,417

შპს „კონფიდენს გრუპი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
შრომის ანაზღაურება	(1,214,580)
ცვეთა და ამორტიზაცია	(925,190)
საიჯარო ქირა	(248,276)
საგადასახადო ხარჯი	(140,306)
საყოფაცხოვრებო ხარჯები	(49,312)
ბანკის საკომისიო	(27,951)
კომუნიკაციის ხარჯები	(8,371)
რემონტის ხარჯები	(5,234)
საკანცელარიო ხარჯები	(3,742)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(1,114)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(313,665)
ჯამი	(2,937,741)

7. საპროცენტო ხარჯი

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 3,401,301 ლარი, რომელიც მთლიანად შედგება გრძელვადიანი სესხების პროცენტისგან.

8. მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2018
გრძელვადიანი სესხები	(2,317,824)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	86,010
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	8,440
ჯამი	(2,223,374)

შპს „კონფიდენს გრუპი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	18,192,901	3,957,294	12,801,592	137,995	1,178,315	139,751	46,043	2,275,901	38,729,790
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	2,644,773	1,084,949	3,684	52,810	-	-	2,771	3,788,986
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	(78,160)	-	-	(78,160)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,192,901	6,602,066	13,886,540	141,679	1,231,125	61,590	46,043	2,278,672	42,440,616
დაგროვილი ცვეთა									
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(1,586,066)	(54,972)	(674,072)	(102,331)	(4,965)	(2,172,530)	(4,594,935)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	-	(339,122)	(17,497)	(283,529)	(12,318)	(3,136)	(106,142)	(761,743)
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	69,042	-	-	69,042
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(1,925,187)	(72,469)	(957,600)	(45,608)	(8,100)	(2,278,672)	(5,287,637)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ნაშთი 01-01-2018	18,192,901	3,957,294	11,215,526	83,022	504,244	37,420	41,078	103,371	34,134,855
ნაშთი 31-12-2018	18,192,901	6,602,066	11,961,353	69,209	273,525	15,983	37,942	-	37,152,980

შპს „კონფიდენს გრუპი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. გუდვილი

კომპანიამ გამოიყენა მსს ფასს სტანდარტის 35.10 პუნქტის შესაბამისად დაშვებული გამონაკლისი და სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე მომხდარი ბიზნეს კომბინაციებისთვის არ იყენებს მე-19 განყოფილების მოთხოვნებს. გუდვილის ამორტიზირება ხდება წრფივად სტანდარტით დაშვებული მაქსიმალური ვადის - 10 წლის განმავლობაში.

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში	1,267,737	578,072
ფული სალაროში	20,552	12,320
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,288,289	590,392

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოკლევადიანი ავანსები	1,012,648	124,502
სავაჭრო მოთხოვნები	228,450	845,966
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	67	67
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,241,165	970,535

13. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გაცემული სესხები	1,157,079	1,155,601
მისაღები პროცენტები	414,299	298,748
სულ გაცემული სესხები	1,571,378	1,454,349

14. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და გადავადებულ მოგების გადასახადს, კოდექსის შესაბამისად გამონაკლის შემთხვევებში გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის ნაცვლად აღიარდება სხვა საგადასახადო ხარჯებთან ერთად.

შპს „კონფიდენს გრუპი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნედლეული და მასალები	251,733	229,654
სხვა მასალები	55,758	-
სულ მარაგები	307,491	229,654

16. გრძელვადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გრძელვადიანი სესხები	74,755,914	67,214,193
გადასახდელი პროცენტები	1,531,528	11,785,036
სულ გრძელვადიანი სესხები	76,287,442	78,999,229

კომპანიას აქვს მიღებული გრძელვადიანი სესხები, როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური ინსტიტუტებისგან. ბანკებისგან მიღებული სესხები და პროცენტები ჯამურად, 2018 წლის ბოლოსათვის, შეადგენს 2,283,730 ლარს. კომპანიებისგან მიღებული სესხები და პროცენტები შეადგენს 74,003,713 ლარს.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	2,701,299	2,847,888
გადასახდელი ხელფასები	40,107	4,958
სულ სავაჭრო ვალდებულებები და მირებული ავანსები	2,741,406	2,852,846